

# საჯარო ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების თავისებურებები

მანანა ბაზაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
სკოლის საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ცხადაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მანანა ბაზაძე

20.06.2020

## აბსტრაქტი

საქართველოს მიერ დემოკრატიული ორიენტირის აღიარება, თავის მხრივ, სამართლებრივი ლეგიტიმაციის მაღალ ხარისხს, სახელმწიფო ინსტიტუტთა გამართულ მუშაობასა და სამოქალაქო საზოგადოების როლის განმტკიცებას მოითხოვს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების განსაზღვრისას სახელმწიფო გამოხატავს მზარდ დაინტერესებას, პირთა ფართო წრის ჩართულობის მექანიზმით ბიძგი მისცეს მაღალი დემოკრატიული კულტურის შემუშავებას, თანამონაწილეობითი პროცესის სტიმულირებასა და შესაბამისად გამჭვირვალე მმართველობის განხორციელებას.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების თავისებურებები. კვლევის მიზანია დადგინდეს, უზრუნველყოფს თუ არა საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილებათა რეალურ ტრანსფორმაციას.

საკვლევი საკითხის სიღრმისეულად შესწავლის უზრუნველსაყოფად, ნაშრომი ეფუძნება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი ჩარჩოს-საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი ნორმების დოქტრინალურ განხილვას. შესწავლილია ეროვნული კანონმდებლობის საკვლევ საგანთან რელევანტური რეგულაციებიც. ნაშრომში საკვანძო საკითხის სრულად შესწავლის მიზნით, გამოთხოვილია საჯარო ინფორმაცია. აღწერითი, შეფასებითი მეთოდების გამოყენებითა და რაოდენობრივი კვლევის განხორციელებით განხილულია საჯარო კონსულტაციის, როგორც ეფექტური თანამონაწილეობითი პროცესის არსი, გამოვლენილია კანონმდებლობის ხარვეზები და ქვეყანაში არსებული გამოწვევები.

ეროვნული კანონმდებლობის ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო ადმინისტრაციული წარმოება არ წარმოადგენს გადაწყვეტილებათა ფორმირებისათვის ქმედით ინსტრუმენტს. საკვლევი საგნის ძიებისას გამოიკვეთა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის ხარვეზული ნორმები, რომლებიც საზოგადოების უგულვებელყოფის ტენდენციასა და თანამონაწილეობითი პროცესის ფორმალურ ხასიათს წარმოაჩენს. ქვეყანაში არსებული გამოწვევების შეფასებამ ხაზი გაუსვა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების, როგორც თანამონაწილეობითი დემოკრატიის ბერკეტის ღირებულებით მნიშვნელობას. ქალაქ რუსთავის ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვამ კი, თანამონაწილეობითი პროცესების შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონისა და მონაწილეობის შემცირებული ინტერესის გამოვლენით, ცხადი გახდა შესამუშავებელი ღონისძიებების საჭიროება.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ღირებულებად შესაძლოა აღქმულ იქნეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ქმედით ინსტრუმენტად გარდაქმნისათვის კანონმდებლობის ხარვეზების გადაჭრის მრავალმხრივი მიმართულებების შემუშავება, რომელთაგან აღსანიშნავია სისტემატიზებული, ერთიანი საკანონმდებლო აქტის ინიცირებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების იდეები. ნაშრომის მონაპოვარს წარმოადგენს თანამონაწილეობითი პროცესების ხელმისაწვდომობის გაიოლების მიზნით ელექტრონული პლათფორმის მაქსიმალურად ათვისების იდეაც.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, სამოქალაქო ჩართულობა, საჯარო კონსულტაცია, დემოკრატია.

## Abstract

Recognition of democratic orientation by Georgia, requires a high degree of legal legitimacy, the work of state institutions, and the strengthening of the role of civil society. During determining public administrative proceedings under the General Administrative Code of Georgia, the state shows a growing interest in the mechanism of attracting a wide range of people to develop a high democratic culture, stimulate participation processes, and, therefore, ensuring transparent governance.

The presented thesis discusses the peculiarities of the implementation of public administrative proceedings defined by the General Administrative Code of Georgia. The study aims to determine whether the involvement of civil society in public administrative proceedings ensures a real transformation of decisions.

To ensure an in-depth study of the research issue, the thesis is based on the doctrinal discussion of the relevant legal framework regulating the public administrative proceedings - the relevant norms of the General Administrative Code of Georgia.

Relevant regulations on the subject of national legislation have also been studied. To fully explore the key issue in the thesis, the public consultation is reviewed as an effective participatory process using descriptive, evaluating methods, public information and quantitative research, the shortcomings of the legislation, and the challenges in the country are being identified.

The analysis of the national legislation revealed that the public administrative proceedings defined by the General Administrative Code of Georgia are not an effective decision-making tool. In the process of searching for a subject of the thesis, The flawed norms of the General Administrative Code of Georgia have been revealed, which shows the tendency of social neglect and the formal nature of the participatory process. The assessment of the challenges in the country highlighted the importance of public administrative production as a lever for participatory democracy A survey of the local population in the city of Rustavi revealed the need for measures to be taken by showing a low level of awareness about participatory processes and a reduced interest in participation.

The value of this master thesis may be understood as the development of various directions concerning solving errors of Legislation to transform public administration into an instrument of action, Among them are important initiating a systematic, unified legislative act and ideas of raising public awareness, the idea of maximizing the electronic platform to facilitate the availability of participatory processes is also an achievement of the thesis.

**Key Words:** Public administrative proceedings, civic engagement, public consultation, democracy.